

შპს „შვიდი მითი“

2019 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

შპს „შვიდი მითი“
(კონსოლიდირებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	<u>01.01.2019</u>	<u>31.12.2019</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		888 111	544 036
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		5 135 841	5 649 417
გადახდილი ავანსები		843 179	91 483
მარაგები	3.1.	3 480 805	3 557 084
სხვა მიმდინარე აქტივები		1 966	-
გაცემული მოკლევადიანი სესხები	3.2.	102 688	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		10 452 591	9 842 019
ძირითადი საშუალებები	3.3.	3 881 712	4 759 264
არამატერიალური აქტივები	3.3.	9 427	8 180
გაცემული გრძელვადიანი სესხები	3.2.	-	5 632
სულ აქტივები		14 343 730	14 615 095
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.4.	2 647 307	2 484 104
საგადასახადო ვალდებულებები		195 329	96 291
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		483 760	32 451
სასესხო ვალდებულებები	3.5.	4 546 368	5 550 972
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		7 872 764	8 163 818
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება		6 470 866	6 451 177
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14 343 730	14 615 095

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2 019
განგრძობითი ოპერაციები:		
ამონაგები	3.6.	15 041 918
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	3.6.	(11 978 705)
საერთო მოგება		3 063 214
მიწოდების ხარჯები	3.7.	(25 296)
დასაქმებულთა ანაზღაურება	3.7.	(1 334 159)
ცვეთა და ამორტიზაცია		(464 950)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.7.	(442 667)
საპროცენტო შემოსავალი		5 632
საპროცენტო ხარჯი		(261 569)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		540 205
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		(157 629)
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		(170 713)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3.8.	99 410
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3.9.	(25 296)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		285 977
მოგების გადასახადის ხარჯი		(5 665)
წლის (ზარალი)/მოგება		280 312
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		280 312

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	100	6 287 679	6 287 779
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	598 455	598 455
განაწილებული დივიდენდი	-	(415 268)	(415 268)
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	100	6 470 866	6 470 966
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	280 312	280 312
განაწილებული დივიდენდი	-	(300 000)	(300 000)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	6 451 177	6 451 277

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2 018	2 019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	20 636 434	16 383 502
გადახდილი გასამრჯელოები	(1 348 825)	(1 031 391)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები	(13 536 821)	(11 571 740)
გადახდილი გადასახადები	(3 235 792)	(3 090 021)
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	8 961	(12 079)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	2 523 956	678 271
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(346 068)	(1 471 512)
მიღებული პროცენტები	-	1 688
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(346 068)	(1 469 824)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის მიღება	8 033 367	4 839 567
მიღებული სესხის გადახდა	(8 786 334)	(3 944 052)
სესხის გაცემა	(444 000)	-
გაცემული სესხის დაბრუნება	343 000	101 000
გაცემული დივიდენდები	(565 725)	(285 000)
გადახდილი პროცენტები	(192 010)	(261 569)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 611 702)	449 946
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	566 185	(341 607)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	363 114	888 111
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(41 188)	(2 469)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	888 111	544 036

2019 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი მითი“ (შემდგომში – კომპანია ან ჯგუფი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2009 წლის 23 თებერვალს თბილისის საგადასახადო ინჰექციის მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 205273595, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქ. N10-12. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი:

რამაზ ანდლულაძე (01010000271) - 100%;

1.3. კომპანიის დირექტორია რამაზ ანდლულაძე.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინგრედიენტების ან/და დამხმარე მასალების (მ.შ. ტარა მასალების) იმპორტი და რეალიზაცია. შვილობილი საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ქონების იჯარით გადაცემა.

1.5. 2019 წლის მდგომარეობით, ჯგუფის დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხოვნობა შეადგენდა 41 კაცს.

1.6. ჯგუფის საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. ყოველ ცალკეულ

შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საეჭვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების, ასევე შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური

მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამოძეგვების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). ჯგუფის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი; 1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი; 1 EUR=3.0701 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი 2019 წელს შეადგენდა:

1 USD=2.7789 ლარი; 1 EUR=3.1226 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

ჯგუფის მარაგები შემდეგი შემადგენლობისაა:

ლარი	01.01.2019	31.12.2019
შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი საქონელი	3 234 725	3 246 341
ნედლეული და მასალები	245 007	308 003
სხვა მარაგები	1 073	2 741
სულ მარაგები	3 480 805	3 557 084

2019 წელს განხორციელდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოფასება რადგან ჯგუფმა მიიჩნია, რომ მისი ზოგიერთი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა 2019 წლის ბოლოს თვითღირებულებაზე უფრო დაბალი კვიდურია. მარაგების ჩამოფასების თანხობრივმა სიდიდემ 160 732 ლარი შეადგინა.

3.2. გაცემული სესხები:

ლარი	01.01.2019	31.12.2019
გაცემული მოკლევადიანი სესხები	101 000	-
გაცემულ მოკლევადიან სესხებზე დარიცხული პროცენტები	1 688	-
გაცემულ გრძელვადიან სესხებზე დარიცხული პროცენტები	-	5 632
სულ ფინანსური აქტივები	102 688	5 632

3.3. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

ლარი	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალუ რი აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის	295 034	3 429 919	491 896	139 488	297 476	13 089	4 666 901
მდგომარეობით							
შესყიდვები	-	31 357	1 240 979	11 777	62 956	-	1 347 069
გასვლები	-	-	-	-	(9 430)	-	(9 430)
ისტორიული ღირებულების ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	295 034	3 461 277	1 732 875	151 265	351 002	13 089	6 004 541
ცვეთა							
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის	-	(419 709)	(165 974)	(71 275)	(115 143)	(3 661)	(775 762)
მდგომარეობით							
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(148 282)	(230 423)	(24 903)	(60 094)	(1 248)	(464 950)
გასვლები	-	-	-	-	3 615	-	3 615
ცვეთის ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(567 991)	(396 397)	(96 178)	(171 622)	(4 909)	(1 237 097)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2019 წლის 1 იანვარს	295 034	3 010 210	325 922	68 213	182 332	9 427	3 891 139
2019 წლის 31 დეკემბერს	295 034	2 893 286	1 336 478	55 087	179 379	8 180	4 767 444

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.4. სავაჭრო ვალდებულებები

ლარი	01.01.2019	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	156 438	200 876

სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	2 490 870	2 283 227
სულ სავაჭრო ვალდებულებები	2 647 307	2 484 104

3.5. მიღებული სესხები:

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები როგორც 31.12.2018 წ., ასევე 31.12.2019 წ. მდგომარეობით, მთლიანად შედგებოდა „პროკრედიტ ბანკიდან“ აღებული სესხებისაგან.

ლარი	01.01.2019	31.12.2019
მიღებული მოკლევადიანი სესხები	4 284 769	4 031 776
მიღებული გრძელვადიანი სესხები	261 599	1 519 196
სულ მიღებული სესხები	4 546 368	5 550 972

3.6. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ლარი	2019
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	14 825 183
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	216 735
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	(11 978 705)
სულ ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	3 063 214

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.7. საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო ხარჯები:

2019 წელს მიწოდების, საერთო-ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შედგებოდა:

ლარი	2019
მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურება	8 176
საწარმოო დანადგარის რემონტი	17 119
ხელფასი	1 322 473
სავალდებულო საპენსიო შენატანი	11 686
მივლინების ხარჯი	170 232
საოფისე ხარჯი	5 794
კომუნალური ხარჯი	56 492
კომუნიკაციის ხარჯი	11 439
კომპიუტერის ხარჯი	3 172
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	31 533
დაცვის ხარჯი	4 322
დაზღვევა	20 931
საგადასახადო ხარჯი	53 771

საბანკო ხარჯი	30 813
მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯი	24 039
წარმომადგენლობითი ხარჯი	26 923
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	3 207
სულ მიწოდების და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	1 802 121

3.8. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ლარი	2019
ვალდებულების ჩამოწერა ან/და გაუფასურება	56 753
ინვენტარიზაციის ზედმეტობა	42 657
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	99 410

3.9. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

ლარი	2019
არასაოპერაციო ზარალი ძირ. საშუალების გასვლიდან	5 815
გადახდილი ჯარიმები და საურავები	11 225
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	8 256
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	25 296

3.10. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2019 წელს ჯგუფის პარტნიორმა გადაწყვიტა გასულ წლებში, კერძოდ 2017 წლის 1 იანვრამდე, მიღებული მოგების ნაწილობრივი განაწილების შესახებ 300000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2019 წელს ჯგუფს წარმოეშვა მოგების გადასახადის ხარჯი, რამაც ჯამში 5665 ლარი შეადგინა.

3.11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 29 სექტემბერს.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წელს ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან არამაკორექტირებელ მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო

მდგომარეობა, რომელიც გაგრძელდა 2 თვე. ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, ჯგუფს ფინანსური სირთულეები არ შექმნია.

2020 წლის 1 იანვრიდან 29 სექტემბრამდე პერიოდში, ჯგუფის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

შპს „შვიდ მით“ (კონსოლიდრებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი

შენიშვნა

01.01.2019

31.12.2019

აქტუები

ფულად სახსრები და მათ ეკვივალენტები

სავაჭროდ სხვა მოთხოვნები

გადხდელ ავანსები

მარგები

სხვა მიმდინარე აქტუები

გაცემული მოვლვადანი სესხები

	888 111	544 036
	5 135 841	5 649 417
	843 179	91 483
3.1.	3 480 805	3 557 084
	1 966	-
3.2.	102 688	-

სულმოვლვადანი აქტუები

10 452 591

9 842 019

ძირითად საშუალებები

არმატორული აქტუები

გაცემული გრძელვადანი სესხები

3.3.	3 881 712	4 759 264
3.3.	9 427	8 180
3.2.	-	5 632

სულაქტუები

14 343 730

14 615 095

ვალდებულებები

სავაჭროვალდებულებები

საგადასახადვალდებულებები

სხვა მოვლვადანი ვალდებულებები

სასესხოვალდებულებები

3.4.	2 647 307	2 484 104
	195 329	96 291
	483 760	32 451
3.5.	4 546 368	5 550 972

სულმოვლვადანი ვალდებულებები

7 872 764

8 163 818

საწესდებოკაპიტლ

გაუნაწილებელ მოგება

100	100
6 470 866	6 451 177

სულაპიტლ და ვალდებულებები

14 343 730

14 615 095

შპს შვიდ მითი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

900900

შპს „შვიდ მით“ (კონსოლიდირებული)

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2 019
განგრძობითი ოპერაციები:		
ამონაგები	3.6.	15 041 918
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	3.6.	(11 978 705)
საერთო მოგება		3 063 214
მიწოდების ხარჯები	3.7.	(25 296)
დასაქმებულთა ანაზღაურება	3.7.	(1 334 159)
ცვეთა და ამორტიზაცია		(464 950)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.7.	(442 667)
საპროცენტო შემოსავალი		5 632
საპროცენტო ხარჯი		(261 569)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		540 205
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		(157 629)
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		(170 713)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3.8.	99 410
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3.9.	(25 296)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		285 977
მოგების გადასახადის ხარჯი		(5 665)
წლის (ზარალი)/მოგება		280 312
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		280 312

შპს შვიდ მითი ღირებულება 4.166

შპს „შვიდ მით“ (კონსოლიდირებული)

კაპიტალს მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	100	6 287 679	6 287 779
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	598 455	598 455
განაწილებული დივიდენდი	-	(415 268)	(415 268)
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	100	6 470 866	6 470 966
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	280 312	280 312
განაწილებული დივიდენდი	-	(300 000)	(300 000)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	6 451 177	6 451 277

შპს შვიდ მითი დირექტორი ჯ. აბ

125

125

შპს „შვიდ მით“ (კონსოლიდირებული)

ფულად სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2 018	2 019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	20 636 434	16 383 502
გადახდილი გასამრჯელოები	(1 348 825)	(1 031 391)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები	(13 536 821)	(11 571 740)
გადახდილი გადასახადები	(3 235 792)	(3 090 021)
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	8 961	(12 079)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	2 523 956	678 271
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(346 068)	(1 471 512)
მიღებული პროცენტები	-	1 688
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(346 068)	(1 469 824)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის მიღება	8 033 367	4 839 567
მიღებული სესხის გადახდა	(8 786 334)	(3 944 052)
სესხის გაცემა	(444 000)	-
გაცემული სესხის დაბრუნება	343 000	101 000
გაცემული დივიდენდები	(565 725)	(285 000)
გადახდილი პროცენტები	(192 010)	(261 569)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(1 611 702)	449 946
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	566 185	(341 607)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	363 114	888 111
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(41 188)	(2 469)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	888 111	544 036

შპს შვიდ მითი ინვესტიციური ჯგუფი